# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 8

29 იანვარი 2016 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გმირი კურსანტების ქ. №5-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.013.001) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 19 ნოემბრის №54 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 22 იანვრის №04/1163 წერილის (AR1357069) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გმირი კურსანტების ქ. №5-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.013.001) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1357069 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ტყემალაძე


10
0.4 2,9
0.1
2841
10
0.4 3,1
0.1
2659
10
0.4 3,7
0.1
2276
10
0.3 2.6
0.2
5586